განკარგულება:**გ-87. 87223062**
თარიღი:**02/11/2022**

განკარგულება N45

ა(ა)იპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის" და ა(ა)იპ ''სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების' რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 106^1 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის 1.1 ნაწილის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის" (საიდენტიფიკაციო კოდი - **224631218)** და ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების" (საიდენტიფიკაციო კოდი - **224631664)** რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე;

2. რეორგანიზაციის (შერწყმის) შედეგად ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებით სკოლას" მიუერთდეს ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება";

3. განხორციელდეს ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის" რეგისტრირებულ მონაცემებში სახელის ცვლილება და სახელწოდებად განისაზღვროს - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება";

4. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM